ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**გ-97. 97230592**

თარიღი:**28/02/2023**

სოფელ ჩუკულის მოსახლეობის წინადადების- ცალკე დასახლების გამოყოფის და ახალი სოფლის ,,ლეკუმბასტის“ შექმნის შესახებ- მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის N-307 დადგენილებით დამტკიცებული ,,დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე ,,დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებული იქნას სოფელ ჩუკულის მოსახლეობის წინადადება - სოფელ ჩუკულიდან ცალკე დასახლების გამოყოფის და ახალი სოფლის ,,ლეკუმბასტის“ შექმნის თაობაზე. (საფუძველი: ლენტეხის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის ოქმი N0127.02.2023წ.).

2.განკარგულება გადაეგზავნოს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას.

3.განკარგულება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში.

4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი